29.12.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №27

29 დეკემბერი, 2008
ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის განხილვა.

2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის შრომითი ხელშეკრულების პირობების განხილვა.

3. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში 65 წლის ასაკს მიღწეული ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების სტატუსის განსაზღვრის წესი.

4. სადოქტორო პროგრამების განხილვა.

5. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ზოგადი წესის მე-9 პუნქტში შესატანი ცვლილების განხილვა.

6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის წარდგინება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან დაკავშირებით.

7. იურიდიული სამსახურის უფროსის წარდგინება უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

8. იურიდიული სამსახურის უფროსის წარდგინება: ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

9. უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი იუსტიციის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით.

10. უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიალური რესურსების სამსახურის დებულებები.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. ნათელა იმედაძე - სხდომის მდივანი
3. შუქია აფრიდონიძე
4. მზია ბაქრაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. ქეთევან გურჩიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

2008 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტი და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

2. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის შრომითი ხელშეკრულება.

3. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში 65 წლის ასაკს მიღწეული ასოციირებული და ასისტენტ-პროფესორების სტატუსის განსაზღვრის წესი შენიშვნებითურთ.

4. განათლების ფაკულტეტს დაუმტკიცდეს სამი სადოქტორო პროგრამა:

- უცხო ენების მეთოდიკა/დიდაქტიკა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლება-ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვა საქართველოში;
- მოზარდობის (adolescence) ფსიქოსოციალური განვითარების კვლევა საგანმანათლებლო სისტემის კონტექსტში.

დარჩენილმა პროგრამებმა უნდა განსაზღვრონ, კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა ივარაუდება, რადგან წარმოდგენილ პროგრამებში განსაზღვრული კომპეტენციები უფრო ბაკალავრიატის დონეს შეეფერება.

5. ჰუმანიტარული და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე დამტკიცდეს პროგრამები:

- არქეოლოგია (ამოქმედდეს აკად. საბჭოს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ)
- კავკასიოლოგია (ამოქმედდეს აკად. საბჭოს მოთხოვნების დაკმაყოფილების
- შედარებითი ლიტერატურა (გაერთიანდეს უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამასთან: ლიტერატურა, როგორც კულტურისა და მენტალობის ტრადიცია და ევოლუცია);
- ვიზუალური ხელოვნების კვლევად;

- იდეოლოგია და ენა: საბჭოური სიტყვიერება;
- "ქართული პატრისტიკული ძეგლების კვლევა" პროგრამა შეერთდეს პროგრამას "ქართული შუა საუკუნეები ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში".

6. უცხო ენების ფილოლოგიის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამებიდან:
არ მტკიცდება ლინგვისტიკის პროგრამა უკვე არსებულ დოქტორანტთა დიდი რაოდენობისა და პროგრამაში არსებული ხარვეზების გამო.
არ მტკიცდება ლიტერატურის სადოქტორო პროგრამა ცალკე პროგრამად და ეძლევა რეკომენდაცია, გაერთიანდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ შედარებითი ლიტერატურის სადოქტორო პროგრამასთან.

7. სპორტის მეცნიერების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა დამტკიცდეს მას შემდეგ, რაც ფაკულტეტი განსაზღვრავს და დაამტკიცებს თავის კვლევით სტრატეგიას.
8. დამტკიცდეს ცვლილება უნივერსიტეტის მობილობის წესში და შეტანილ იქნეს ცვლილება მე-9 პუნქტში: მაგისტრატურის საფეხურზე გადასვლა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ სემესტრში.

9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულება უკან დაუბრუნდეს ფაკულტეტს, რათა შენიშვნების გათვალისწინებით დებულება განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ.

10. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში" შეტანილი ცვლილება.

11. დამტკიცდეს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი ცვლილებები შენიშვნების გარეშე.

12. დამტკიცდეს უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი ("მუხლი 56/1. თანამდებობის ცვლილების სტაბილურობა") იუსტიციის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით.

13. უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიალური რესურსების სამსახურის დებულებების განხილვა გადაიდოს მომდევნო აკადემიური საბჭოს სხდომისათვის.

სხდომის თავმჯდომარე: გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი: ნათელა იმედაძე